ტექსტობრივი პარალელების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ილია ჭავჭავაძე პერსონაჟთა ურთიერთობისას ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნისეულ“ „მოწონების“ მოტივს, რომლის მიხედვითაც დამეგობრების საფუძველია გარეგნული შთაბეჭდილება და სოციალური თუ სულიერი ნათესაობის მყისიერი შეგრძნება. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ილიას გმირებს შორის არსებული ნდობა (ზოგიერთი

---

<sup>1</sup> კვლევა (PHDF-21-914) განხორციელდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

მკვლევრისთვის ფსიქოლოგიურად არადამაჯერებელი), რუსთველური ტრადიციით უნდა იყოს ნაკარნახევი.

ლექსიკური ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ კაკოსა და ზაქარას შეხვედრა ტარიელ-ფრიდონისა და ავთანდილ-ფრიდონის დამეგობრების სცენების მხატვრულ ანალოგს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** „კაკო ყაჩაღი“, „ვეფხისტყაოსანი“, მეგობრობის კონცეფცია, რეცეფცია, მოწონება

„ვეფხისტყაოსნის“ როლი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განუზომლად დიდია. მწერალი რუსთველის პოემას აზრისა და გრძნობის ზღვას უწოდებს და ხშირად მიმართავს მას მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტურ წერილებში. არცთუ იშვიათად იგი ასახელებს „ვეფხისტყაოსნიდან“ მომდინარე თვალსაზრისისა თუ მოტივის წყაროს, მაგრამ ზოგჯერ საგანგებო დაკვირვებაა საჭირო რუსთველური ელემენტის ამოსაცნობად. წერილში ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევაზე იქნება საუბარი.

ილია ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ყურადღებას იქცევს ზაქარასა და კაკოს შეხვედრის სცენა. ხის ქვეშ მძინარ ბლაჭიაშვილს ცხენოსნის მიახლოება გამოარკვევს ძილიდან და მოსალოდნელ საფრთხეს თოფმომარჯვებული დახვდება. „რისთვის მოსულხარ, – მოყვრად თუ მტრად?“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 117) – ამ შეკითხვაზე მხედრის პასუხი (რომ იგი მოყვრადაა მოსული) კაკოს სრულიად დააკმაყოფილებს. ერთი შეხედვით ამ ეპიზოდს

ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია, რაც შენიშნულია კიდევ ილიას შემსწავლელ მეცნიერებაში:

„მკითხველი ისე გატაცებით კითხულობს პოემის ამ ადგილს, რომ იგი ალბათ ვერც დაეჭვდება, თუ რამდენად სწრაფად ხვდება ყოველივე ეს, და თვით ავტორის მიერ დახასიათებული კაკო, ესოდენ ფრთხილი, წინდახედული, ეჭვიანი, ფიცხი (დააკვირდით, ცხენიც ფრთხილი ჰყავს), როგორ სწრაფად, თითქმის ეჭვმიუტანლად ენდობა და უმაღლეს მიიღებს მეგობრად მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს – ზაქროს. შეიძლება აქ შენიშვნა გაგვეკეთებინა ახალგაზრდა ავტორისთვის, რომ მისი გმირის ფსიქოლოგიური ბუნება (სიფრთხილე, ეჭვი), აქ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, აღარა ჩანს, გამქრალია. კაკო ერთი სიტყვით – მოყვარე ვარო – კმაყოფილდება და უცნობ კაცს გამარჯვებას ეუბნება, ჩვენი გაცნობა კეთილი იყოსო, რასაც ყაჩაღის უაღრესად ფრთხილი ბუნება ასე ერთბაშად ვერ დაუშვებდა. მაგრამ მკითხველი ამ ერთგვარ ფსიქოლოგიურ შეუსაბამობას ვერც გრძნობს, ვინაიდან პოემა, კერძოდ, ნაწარმოების ეს ადგილი არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით ვითარდება, მდგომარეობა დამაბულია, სათავგადასავლო ამბავი ძალიან საინტერესოა და ამ „დეტალს“ ყურადღებას აღარ აქცევს“ (ჯიბლაძე, 1983, გვ. 408-409). მკვლევრის ეს თვალსაზრისი საყურადღებოა. მე-19 საუკუნის ესთეტიკით ამ პასაჟის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა მართლაც რთულად აიხსნება.

მხედარი ბლაჭიაშვილის ვინაობის დაზუსტების შემდეგ მოსვლის მიზეზს განმარტავს, მას სურს კაკოს შეუერთდეს: „შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, / შენთან ყოფნა და შენთან

დარჩენა“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 118)<sup>2</sup>. ბლაჭიაშვილი ამ პასუხით კმაყოფილი ჩანს:

„- მომწონს ეგ სიტყვა... **შენც მომეწონე**<sup>3</sup>  
და ამისთვისაც გენდობი შენა.“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 118)

როგორც კაკოს პასუხიდან ვიგებთ, ნდობის მიზეზი ყოფილა მოწონება. ყაჩაღს მოსწონებია ახალმოსული და ამიტომაც ნდობია. ეს რომ შემთხვევითი მოტივი არ არის, კარგად ჩანს მომდევნო ეპიზოდშიც:

„შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,  
კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი.  
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,  
და **მოეწონნენ ორნივე** ერთმანეთს.“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 119)

მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, რომ პოემის პერსონაჟთა ნდობასა და დამეგობრებას განაპირობებს მოწონება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კაკო ყაჩაღი ენდობა ზაქარას,

---

<sup>2</sup> აქ და შემდგომ პოემას ვიმოწმებ შემდეგი გამოცემიდან: რუსთაველი, შ. (1988). *ვეფხისტყაოსანი*. მეცნიერება. შდრ. ავთანდილი ეუბნება ტარიელს „შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“ (295). ზაქარას სიტყვები, გარდა შინაარსისა, ფორმის თვალსაზრისითაც მოგვაგონებს რუსთველს. როგორც ცნობილია, რუსთველის ენისათვის ერთ-ერთი მახასიათებელია გამეორება. მაგ., „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“ (757). მ. გუგუშვილი წერილში „ვეფხისტყაოსანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ წერს, რომ „ილია ჭავჭავაძე დასესხებია რუსთველის მხატვრული ენის რიგ თავისებურებას“ (გუგუშვილი, 1989, გვ. 138) და სანიმუშოდ ილიას ზემოთ დასახელებული სტრიქონებიც მოჰყავს.

<sup>3</sup> ხაზგასმა ყველგან ჩემია.

რადგან მოეწონება იგი, ხოლო მხედარს წინასწარჩამოყალიბებული აზრი აქვს ბლაჭიაშვილის მიმართ და ნდობის საკითხი არ უდგას. კეთილგანწყობასა და დამეგობრებაში კი ორივეს შემთხვევაში მოწონება ასრულებს მთავარ როლს, რასაც ავტორი ხაზს უსვამს კიდევ. მოწონება აქ მხოლოდ ესთეტიკური კატეგორია კი არა, სულიერი ნათესაობის მყისიერი აღქმაა.

ილია ჭავჭავაძის პოემის პერსონაჟთა შეხვედრა-დამეგობრება მოგვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა დამეგობრების სცენებს. მაგალითად მოვიყვან ტარიელ-ფრიდონის შეხვედრის ეპიზოდს. კერძოდ, ტარიელი, რომელსაც ნესტანის ძებნაში მხლებლები შემოეფანტა, ერთ ქალაქს მიადგა და „მოსვენებად გარდახდა“, რა დროსაც უცნაური სურათის მხილველი შეიქნება:

„[ზახილი](#) მესმა, შეეხედენ, [მოყმე](#) ამაყად [ყიოდა](#),  
[შემორბედა](#) ზღვის პირ-პირ,  
მას [თურე წყლული](#) სტკიოდა,  
ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,  
მტერთა [ექადდა](#), წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.“ (591)

ტარიელი შეწუხებულია შეურაცხყოფილი რაინდის ხილვით და მისი ბედით ინტერესდება, ფრიდონთან შეხვედრას მოისურვებს და მსახურს გაუგზავნის: „შევსთვალე: „დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ [გაწყენს](#), რომელი?“ (592) – ამ ტაეპში კარგად ჩანს, რომ ტარიელს უბრალო ცნობისმოყვარეობა არ ამოძრავებს. მას ხასიათი აქვს მოშხამული, რადგან ნესტანის ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო და არავის ნახვა არ სურს, რაც აღნიშნულია კიდევ მოცემულ ტაეპში: „არ მეამის კაცთა ნახვა, მიდაღვდის გულსა მური“ (598). ინტერესის მიზეზი ისაა, რომ ტარიელს მოეწონა უცნობი რაინდი, სიმპათიით განეწყო მის მიმართ, რასაც

ზემოდასახელებულ ტაეპში გამოყენებული მეტაფორაც ადასტურებს („ლომსა ვინ გაწყენს, რომელი?“ [592])<sup>4</sup>. თუკი მოყვანილ მაგალითსა და არგუმენტებს რამდენადმე დამაჯერებლობა აკლია „კაკო ყაჩაღთან“ ნათესაობის მხრივ (მაგალითად, ეს პარალელი შესაძლოა ზოგად რაინდულ ეთოსს მივაწეროთ), „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ეპიზოდი უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის პოემასთან მიმართებას და ეჭვგარეშეს ხდის ტექსტურ კავშირს. ფრიდონი ყურადღებას არ მიაქცევს ამბის გასაგებად მისულ მონას და ტარიელს თავად მოუხდება დაჭრილ მოყმესთან მისვლა:

„მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა;  
ფიცხლა შევჯე, ჩავეგებე, მე ჩავუსწარ, ჩავე წინა,  
ვუთხარ: „დადეგ, გამაგონე, შენი საქმე მეცა მინა!“  
**შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა.**“ (593)

ფრიდონს მოეწონა ტარიელი, თავისი ბედით დაინტერესებული რაინდი, მეტიც, იგი აღფრთოვანებულია: „გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთნი ხენი ვით ხენ!“ (594). ვფიქრობ, რუსთველის პოემის ეს მონაკვეთი უნდა იყოს შთამაგონებელი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების ზემოთ განხილული ეპიზოდისა. ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, მოწონება ხდება საფუძველი „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟთა დამეგობრებისა, თანაც ორივე შემთხვევაში ეს ყოველივე გამოიხატება ლექსიკური ხაზგასმით. ილიას პოემის გმირთა შეხვედრის სცენა რომ რუსთველის პოემის რეცეფციას უნდა

---

<sup>4</sup> ზოგადრაინდული მოტივის გარდა, საყურადღებოა, რომ ტარიელმა ფრიდონში დაინახა საკუთარი თავის ანარეკლი, რადგან ინდოელი ჭაბუკიც მულღაზანზარის მბრძანებლის მსგავსად „დაჭრილი“ და მარტოხელა მებრძოლია.

წარმოადგენს, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც „მოეწონენ ორნიც ერთმანეთს“, ავტორი ამბობს: „მივიდნენ წყნარად და ხის ძირს დასხდნენ“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 119). „ვეფხისტყაოსანშიც“ ფრიდონის აღტაცებული შემახილის მერე ტარიელი ამბობს: „მე ვუთხარ: „დადეგ, დაწყნარდი, გარდავხდეთ ძირსა ხეთასა“ (595) და „თანა წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა“ (595). ეს პარალელი სხვა შემთხვევაში ძალდატანებად გამოჩნდებოდა, რადგან ორივე პოემაში ამ სიტყვათა ფუნქცია პერსონაჟთა სამოქმედო არის გათვალისწინებით ერთობ პროზაულია, მაგრამ, ჩემი აზრით, კონტექსტის მეშვეობით ეს პარალელიც არგუმენტის ძალას იძენს (საყურადღებოა „წყნარ“ ძირის სიტყვაც, რომლის გამოყენებაც, ხის ძირას დასხდომისგან განსხვავებით, სულაც არ იყო მოსალოდნელი ილიას პოემაში). არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ „კაკო ყაჩაღს“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს რუსთველის სტრიქონები.

„ვეფხისტყაოსანში“, გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევისა, კიდევ არაერთი ეპიზოდია, როდესაც გმირთა დამეგობრებას წინ უძღვის ერთმანეთის მოწონება და ხაზგასმა ამისა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრის ეპიზოდი, რომელიც ფრაზეოლოგიურადაც მოგვაგონებს „კაკო ყაჩაღს“. ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანების შეხვედრას რუსთაველი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

„მოეხვივნეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დარიდონ.

**თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონს<sup>5</sup>**  
(984)

იგივე ვითარება გვაქვს ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრისასაც. ზოგადად, რუსთველოლოგიაში შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი „გმირთა პირველი შეხვედრის აღწერისას ყოველთვის აქცევს ყურადღებას მათ სილამაზესა და მომხიბვლელობას. უფრო მეტიც, ავტორი ყველა შემთხვევაში გახაზავს იმას, რომ გმირებმა ერთმანეთზე მოახდინეს დიდი შთაბეჭდილება, რომ მათ მოეწონათ ერთმანეთი“ (ხინთიბიძე, 2009, გვ. 573). მაშასადამე, პოემის გმირთა დამეგობრებას მოწონება უდევს საფუძვლად. თუკი ილია ჭავჭავაძის პოემაში ამ ეპიზოდის მთავარი ფუნქცია ისაა, რომ კაკოს ნდობის მოტივაცია დაგვანახვოს, გვაჩვენოს ის, რომ მსგავსი მსგავსს ცნობს, „ვეფხისტყაოსანში“ დამეგობრების სცენებს კონცეპტუალური დატვირთვა აქვს. ვეფხისტყაოსნის მეგობრობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, შთაგონებულია ანტიკური ტრადიციით. ე. ხინთიბიძე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის მეგობრობის კონცეფციის ინტერპრეტაციისათვის“ გამოყოფს რამდენიმე საყრდენს, რომელთაც ეფუძნება რუსთველის მეგობრობის კონცეფცია. ამ საყრდენთაგან ერთ-ერთი არის არისტოტელესეული მეგობრობის ფილოსოფია: „როგორც ტარიელი მოიხიბლა ნესტანის ხილვით, ასევე პირველი შეხვედრისთანავე მოეწონათ ერთმანეთი ვეფხისტყაოსნის მოყმეებს. ამ მოწონებასაც თავისი მხატვრული საფუძველი აქვს. იგი არაა მხოლოდ თვალთ ხილული სილამაზის მოწონება; უწინარესად ამაღლებულის ხილვაა. რუსთველისეულ „მოწონებას“ სხვა ფილოსოფიური

---

<sup>5</sup> შდრ. ილიას სიტყვებს: „მოეწონენ ორნიც ერთმანეთს“.

დატვირთვაც აქვს. იგი მიუთითებს პოეტის მეგობრობის კონცეფციის ფილოსოფიურ წყაროზეც, რასაც ანტიკურ ფილოსოფიამდე, კერძოდ, არისტოტელეს მეგობრობის კონცეფციამდე მივყავართ, რომლის მიხედვითაც სწორედ მოწონებაა მიჩნეული იმ დიდი ემოციური განცდის უპირველეს იმპულსად, რომელიც სიყვარულში გადაიზრდება“ (ხინთიბიძე, 2018, გვ. 163). ამ მოვლენას ვ. ნოზაძე უწოდებს თვალახმას, რაც ს. ს. ორბელიანის მიხედვით, თვალით მოწონებას ნიშნავს. გარდა თვალახმისა, რუსთველოლოგი პერსონაჟთა სწრაფ დაახლოებას მათს სოციალურ სტატუსში ხედავს: „მათ ერთმანეთი იცვნეს ერთი და იმავე წრის პირად; მათ კარგად გაიგეს, რომ ისინი ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ“ (ნოზაძე, 2021, გვ. 300). სტატუსი რომ განმსაზღვრელია, კარგად ჩანს ე. ხინთიბიძის მეგობრობის კონცეფციაშიც. იგი, როგორც მოწონების შემთხვევაში, მიუთითებს არისტოტელეს ფილოსოფიაზე, კერძოდ, „ნიკომაქეს ეთიკაზე“.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის პოემაში? „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟებიც ერთი სოციალური წრისანი არიან. კერძოდ, კაკოც და ზაქარაც დაბალ სოციალურ კლასს ეკუთვნიან. მეტიც, ისინი ერთი და იმავე სუბკულტურის წარმომადგენლები არიან. ვგულისხმობ იმას, რომ კაკო ე. წ. კეთილშობილი ყაჩაღია, ამავე გზას დასდგომია ზაქარაც, იგი კლავს ბატონს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეუერთდეს კაკოს: „შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, / შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 118). ამ ორი პოემის გმირები სხვა მხრივაც ჰგვანან ერთმანეთს, რაც ასევე განმსაზღვრელია პერსონაჟთა დამეგობრებისას. კერძოდ, რუსთაველისა და ილიას გმირები არიან ფიზიკურად ძლიერები და ახლგაზრდები – ეს უკანასკნელიც, სხვათა შორის, ასევე ძალზე

მნიშვნელოვანია, ამ გარემოებას ხაზს უსვამს არისტოტელე-როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია თქმული, რუსთველის გმირებს მათი ახალგაზრდული ასაკიც ეზიდება ერთმანეთისკენ (ხინთიბიძე, 2009, გვ. 569). ამ მხრივაც ენათესავებიან ილიას გმირები რუსთველის პერსონაჟებს. ზაქარა 20 წლის ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდაა, ხოლო კაკოს მონაცემებს მეურმის საუბრიდან ვიგებთ:

„მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვ მკლავი,  
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,  
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი –  
ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები,  
ნურც დაანახვებ შენს ქურან ცხენსა,  
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 116)

როგორც დავინახეთ, გარდა სოციალური სტატუსისა და საერთო ბედისა, კაკო და ზაქარა ასაკითა და ფიზიკური მონაცემებითაც ჰგვანან ერთმანეთს, ეს ყოველივე კი კეთილგანწყობისა და დამეგობრების საფუძველი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მოტივი „მსგავსი მსგავსს ცნობს“ ან „გული გულს იცნობს“ არ არის ექსკლუზიურად რუსთველისა, ვფიქრობ, იმის გათვალისწინებით, რომ ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა მიერ ერთმანეთის მოწონება მკვეთრად აქცენტირებულია, ხოლო პოემას ეპიგრაფად რუსთველის სიტყვები უძღვის და ამავდროულად, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ სხვა კომპონენტებიც ჰგავს „ვეფხისტყაოსანს“, ქმნის იმის საფუძველს, რომ ვისაუბროთ რუსთველის შემოქმედების რეცეფციაზე ილია ჭავჭავაძის პოემაში. თუ წარმოდგენილი თვალსაზრისი სარწმუნოა, შეიძლება ვთქვათ, რომ გ. ჯიბლადის მიერ შენიშნულ

ფსიქოლოგიურ შეუსაბამობას ჰქონია ღრმა საფუძველი და სწორედ ამის ძალითაა, რომ მკითხველი ადვილად იჯერებს პერსონაჟთა დამეგობრების ამბავს.

#### დამოწმებული ლიტერატურა

გუგუშვილი, მ. (1989). „ვეფხისტყაოსანი“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. *ლიტერატურული ძიებანი*, 3(18).

ნოზაძე, ვ. (2021). *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტომი IV. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებამეტყველება*.

რუსთაველი, შოთა. (1988). *ვეფხისტყაოსანი*. მეცნიერება.

ხინთიბიძე, ე. (2009). *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. ქართველოლოგი.

ხინთიბიძე, ე. (2018). *თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი*.

ჯიბლაძე, გ. (1983). *ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და პოეზია): ნაწილი პირველი*.

ჭავჭავაძე, ი. (1987). *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად: ტომი I. საბჭოთა საქართველო*.

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12125/1/Txzulebani\\_I\\_T.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12125/1/Txzulebani_I_T.pdf)

One Motif from „The Man in the Panther's Skin“ in the  
Poem „Several Pictures or Episodes from the Life of a  
Robber“

**Kote Lomidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Abstract**

The article discusses the reception of Shota Rustaveli's *The Man in the Panther's Skin* in Ilia Chavchavadze's poem *Several Pictures or Episodes from the Life of a Robber* (*Kako the Robber*). The main objective of the article is to highlight the textual and conceptual parallels that connect the scene of *Kako* and *Zakara*'s meeting with the episodes of the befriending of Rustaveli's heroes.

Based on textual parallels, it is substantiated that, regarding the characters' relationship, Ilia Chavchavadze relies on the motif of "liking" found in *The Man in the Panther's Skin*, according to which the basis of friendship is an external impression and an immediate sensation of social or spiritual kinship. The paper demonstrates that the trust existing between Ilia's heroes (considered psychologically unconvincing by some researchers) must be dictated by the Rustavelian tradition.

Based on lexical analysis, it is concluded that the meeting between *Kako* and *Zakara* represents an artistic analogue to the befriending scenes of *Tariel* and *Pridon*, and *Avtandil* and *Pridon*.

**Keywords:**

*Kako the Robber, The Man in the Panther's Skin, concept of friendship, reception, liking.*

The role of *The Man in the Panther's Skin* in Ilia Chavchavadze's creative work is immeasurably great. The writer calls Rustaveli's poem a "sea of thought and feeling" and frequently refers to it in his artistic works or publicist letters. Not infrequently, he names the source of a viewpoint or motif derived from *The Man in the Panther's Skin*, but sometimes special observation is required to recognize the Rustavelian element. This letter will discuss one such instance.

In Ilia Chavchavadze's poem *Several Pictures or Episodes from the Life of a Robber*, the scene of the meeting between Zakara and Kako draws attention. Bghachiashvili [Kako], sleeping under a tree, is awakened by the approach of a horseman and meets the potential danger with his gun ready. "Why have you come – as a friend or as a foe?" (Chavchavadze, 1987, p. 117). The rider's answer to this question (that he has come as a friend) completely satisfies Kako. At first glance, this episode lacks psychological plausibility, which has even been noted in the scholarship studying Ilia:

"The reader reads this part of the poem with such fascination that they likely do not even doubt how quickly all this happens, and how Kako (characterized by the author himself as so cautious, prudent, suspicious, and hot-tempered; note, he even has a wary horse) so quickly, almost without suspicion, trusts and immediately accepts a complete stranger, Zakro, as a friend. We might have made a remark to the young author here that his hero's psychological nature (caution, suspicion) is no longer visible here, at the most decisive moment; it has vanished. Kako is satisfied with a single word, "I am a friend", and bids the stranger welcome, saying 'may our acquaintance be good,' something a robber of such an extremely cautious nature would not have allowed so suddenly. But the reader does not feel this certain psychological inconsistency, because the poem, specifically

this part of the work, develops with extraordinary expressiveness, the situation is tense, the adventurous story is very interesting, and they no longer pay attention to this 'detail'" (Jibladze, 1983, pp. 408-409). This viewpoint of the researcher is noteworthy. By the aesthetics of the 19th century, the psychological plausibility of this passage is indeed difficult to explain.

After clarifying Bghachiashvili's identity, the rider explains the reason for his arrival; he wishes to join Kako: "Life with you, death with you, / Being with you and remaining with you" (Chavchavadze, 1987, p. 118). Bghachiashvili seems pleased with this answer: "- I like that word... I liked you too / And for this, I trust you" (Chavchavadze, 1987, p. 118).

As we learn from Kako's response, the reason for the trust was "liking". The robber liked the newcomer and trusted him for that reason. That this is not an accidental motif is clearly visible in the subsequent episode as well: "Then that guest came, / He stood silent directly before Kako. / They measured each other with their eyes, / And the two liked each other" (Chavchavadze, 1987, p. 119).

From the cited examples, we have seen that the trust and befriending of the poem's characters are conditioned by "liking". To be more precise, Kako the Robber trusts Zakara because he takes a liking to him, whereas the rider has a preconceived opinion regarding Bghachiashvili, and for him, the issue of trust does not arise. However, in both cases, "liking" plays the main role in benevolence and befriending, which the author emphasizes. "Liking" here is not merely an aesthetic category, but an immediate perception of spiritual kinship.

The meeting and befriending of the characters in Ilia Chavchavadze's poem remind us of the scenes of the heroes befriending one another in *The Man in the Panther's Skin*. For example, I will cite the episode of the meeting between Tariel and Pridon. Specifically, Tariel, whose attendants had scattered while

searching for Nestan, approached a city and "dismounted to rest," at which time he became the witness to a strange picture:

"I heard a shout. I looked round, a knight? cried out haughtily, he was galloping along the seashore, he was hurt by a wound, his sword was broken and soiled, blood flowed down; he threatened his foes, was wrathful, cursed, complained" (Rustaveli, 1912, p. 91).

Tariel is distressed by the sight of the insulted knight and becomes interested in his fate; he desires to meet Pridon and sends a servant: "I bade him say: 'Stand! declare unto me who angers thee, O lion!'" (Rustaveli, 1912, p. 91). In this stanza, it is evident that Tariel is not driven by simple curiosity. His mood is poisoned because the search for Nestan has yielded no results, and he does not wish to see anyone, which is noted in this very stanza: "The sight of men gave me no pleasure; brands were imprinted on my heart." (Rustaveli, 1912, p. 91). The reason for his interest is that Tariel liked the unknown knight; he was disposed toward him with sympathy, which the metaphor used in the aforementioned stanza confirms ("who angers thee, O lion!") . If the cited example and arguments lack some conviction regarding the kinship with Kako the Robber (for instance, one might attribute this parallel to a general knightly ethos), the following episode of *The Man in the Panther's Skin* presents the relation to Ilia Chavchavadze's poem more visibly and makes the textual connection undoubtable. Pridon pays no attention to the slave who came to ask about the news, and Tariel himself has to approach the wounded youth:

"He spoke not to the slave, nor did he hear a word. Hastily I mounted, I went along to meet him; I overtook him, I came before him, I said: 'Stay, hearken to me! I too wish to know thine affair. He looked at me, I pleased him, he checked his course" (Rustaveli, 1912, p. 92) .

Pridon liked Tariel, the knight interested in his fate; moreover, he is delighted: "He looked me over, and said to God: 'How hast Thou made such a tree!'" (Rustaveli, 1912, p. 92). I believe this section of

Rustaveli's poem must be the inspiration for the episode of Ilia Chavchavadze's work discussed above. Just as in *The Man in the Panther's Skin*, "liking" becomes the basis for the befriending of the characters in *Kako the Robber*, and in both cases, all this is expressed through lexical emphasis. That the scene of the meeting of Ilia's poem's heroes represents a reception of Rustaveli's poem is also indicated by the fact that after "the two liked each other," the author says: "They went quietly and sat down under the tree" (Chavchavadze, 1987, p. 119). In *The Man in the Panther's Skin*, too, after Pridon's exclamation of admiration, Tariel says: "I said: 'Stand, be calm, let us dismount at the foot of the trees!'" (Rustaveli, 1912, p. 92). and "I led him with me; we went away fonder than father and son" (Rustaveli, 1912, p. 92). This parallel might appear forced in another case, because in both poems, the function of these words is quite prosaic considering the characters' field of action, but, in my opinion, through the context, this parallel acquires the force of an argument (the root word "quiet" [tsqnar] is also noteworthy, the use of which, unlike sitting under a tree, was not at all expected in Ilia's poem). We must also not forget that *Kako the Robber* has lines from Rustaveli prefixed as an epigraph.

In *The Man in the Panther's Skin*, besides the case cited above, there are numerous other episodes where the befriending of heroes is preceded by mutual liking and an emphasis thereon. As a sample, we can name the episode of the meeting between Avtandil and Pridon, which phraseologically reminds us of *Kako the Robber*.

Rustaveli conveys the meeting of people completely strange to one another with the following words: "They embraced; they were not shy for being strangers. The knight seems peerless to P'hridon, and P'hridon pleases the knight" (Rustaveli, 1912, p. 92).

We have the same situation during the meeting of Tariel and Avtandil. Generally, it has been noted in Rustvelology that the author of *The Man in the Panther's Skin* "always pays attention to their

beauty and charm when describing the first meeting of heroes. Moreover, the author underlines in all cases that the heroes made a great impression on one another, that they liked one another" (Khintibidze, 2009, p. 573).

Consequently, "liking" lies at the foundation of the poem's heroes befriending one another. If in Ilia Chavchavadze's poem the main function of this episode is to show us the motivation for Kako's trust, to show us that like recognizes like, in *The Man in the Panther's Skin*, the scenes of befriending have a conceptual load. The friendship in *The Man in the Panther's Skin*, along with other factors, is inspired by the antique tradition. E. Khintibidze, in the work *For the Interpretation of the Concept of Friendship in The Man in the Panther's Skin*, identifies several pillars upon which Rustaveli's concept of friendship is based. One of these pillars is the Aristotelian philosophy of friendship: "Just as Tariel was charmed by the sight of Nestan, so did the knights of *The Man in the Panther's Skin* like one another immediately upon their first meeting. This liking has its own artistic basis. It is not merely the liking of visible beauty; primarily, it is the vision of the sublime. Rustaveli's 'liking' has another philosophical load as well. It points to the philosophical source of the poet's concept of friendship, which leads us to antique philosophy, specifically to Aristotle's concept of friendship, according to which it is precisely 'liking' that is considered the primary impulse of that great emotional experience which grows into love" (Khintibidze, 2018, p. 163). V. Nozadze calls this phenomenon *Thvalakhma* [Eye-catching /visual appeal], which, according to S.S. Orbeliani, means liking by eye. Besides *Thvalakhma*, the *Rustvelologist* sees the rapid closeness of the characters in their social status: "They recognized one another as persons of the same circle; they understood well that they were representatives of the same social stratum" (Nozadze, 2021, p. 300). That status is determinative is also evident in E. Khintibidze's

concept of friendship. He, as in the case of liking, points to Aristotle's philosophy, specifically the Nicomachean Ethics.

What is the situation in this regard in Ilia Chavchavadze's poem? The characters of Kako the Robber are also from the same social circle. Specifically, both Kako and Zakara belong to a low social class. Moreover, they are representatives of the same subculture. I mean that Kako is a so-called "noble robber," and Zakara has embarked on this same path; he kills the lord and has firmly decided to join Kako: "Life with you, death with you, / Being with you and remaining with you" (Chavchavadze, 1987, p. 118). The heroes of these two poems resemble each other in other ways as well, which is also determinative when the characters become friends. Specifically, the heroes of Rustaveli and Ilia are physically strong and young (the latter, by the way, is also very important; Aristotle also emphasizes this circumstance.) As stated in the specialized literature, Rustaveli's heroes are drawn to each other by their youthful age as well (Khintibidze, 2009, p. 569). In this respect, too, Ilia's heroes are kin to Rustaveli's characters. Zakara is a physically strong young man of 20 years, while we learn of Kako's data from the guardian's conversation:

"As I see, you too have an arm [strength],  
You will not fall short of many boys your age,  
But still, if you have pity on yourself –  
Do not show yourself to Bghachiashvili,  
Nor show him your bay horse,  
Otherwise, that boy will make you regret much!" (Chavchavadze,  
1987, p. 116)

As we have seen, in addition to social status and common fate, Kako and Zakara resemble each other in age and physical data, and all this becomes the basis for benevolence and befriending. Despite the fact that the motif "like recognizes like" or "heart recognizes heart" is not exclusively Rustaveli's, I believe that considering the fact that the mutual liking of Ilia Chavchavadze's characters is sharply accented,

while the poem is preceded by Rustaveli's words as an epigraph, and simultaneously, other components of *Several Pictures or Episodes from the Life of a Robber* resemble *The Man in the Panther's Skin*, it creates the basis for us to speak of the reception of Rustaveli's creative work in Ilia Chavchavadze's poem. If the presented viewpoint is credible, we can say that the psychological inconsistency noted by G. Jibladze had a deep foundation, and it is precisely by virtue of this that the reader easily believes the story of the characters' befriending.

### References

- Chavchavadze, I. (1987). Complete collection of works in twenty volumes: Volume I. Soviet Georgia.  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12125/1/Txzulebani\\_I\\_T.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12125/1/Txzulebani_I_T.pdf)
- Gugushvili, M. (1989). *The Man in the Panther's Skin* in Ilia Chavchavadze's creative work. *Literary Searches*, 3(18).
- Jibladze, G. (1983). *Ilia Chavchavadze (Life and poetry): Part one*.
- Khintibidze, E. (2009). *The ideological-worldview universe of The Man in the Panther's Skin*. *Kartvelologi*.
- Khintibidze, E. (2018). *The Man in the Panther's Skin commented with modern Rustvelological studies*.
- Nozadze, V. (2021). Complete collection of works in ten volumes: Volume IV. *The sociology of The Man in the Panther's Skin*.
- Rustaveli, Shota. (1912). *The Man in the Panther's Skin: A romantic epic* (M. S. Wardrop, Trans.). Royal Asiatic Society.

## „ვეფხისტყაოსნის“ შეფასება ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში <sup>6</sup>

**ელგუჯა ხინთიბიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია რუსთაველის პოეტური შედეგის „ვეფხისტყაოსნის“ მიღებისა და შეფასების ეტაპები ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ავტორი აჩვენებს, რომ პოემის სათანადოდ აღქმის პროცესს დასავლეთში მრავალი სირთულე ახლდა ენობრივი ბარიერის, აღმოსავლური სტილისა და კულტურული განსხვავებების გამო.

**საკვანძო სიტყვები:** რუსთაველი; „ვეფხისტყაოსანი“; ევროპული ქართველოლოგია; ლიტერატურათმცოდნეობა; მსოფლიო ლიტერატურა; შუა საუკუნეები.

---

<sup>6</sup> წინამდებარე სტატია პირველად გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე [„Georgian Literature in the Eyes of a Foreign Kartvelologist“, The Kartvelologist, Autumn 1998, No. 5] და წარმოადგენს მის გადამუშავებულ და ნაწილობრივ შეცვლილ ვერსიას, რომელიც ხელმეორედ იბეჭდება [პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ქართველოლოგის“ მე-10 ნომერში, 2000 წელს].

ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის ყოველთვის ითვლებოდა მაღალი პოეტური და ბრძნული აზროვნების ნიმუშად. ამას მოწმობენ XV საუკუნის დასაწყისიდან ხელნაწერთა აშიებზე თუ მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფების მინაწერები; ქართველ მწერალთა გამონათქვამები რუსთაველზე; და ისიც, რომ XV საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით მთელი ქართული პოეზია პოეტური ხელოვნებით (სალექსო ზომით, ჟანრობრივი თავისებურებებით, მხატვრული სახეებით) რუსთაველის მიბადვას. როგორ იყო რუსთაველის შემოქმედება გასულ საუკუნეებში მიღებული და შეფასებული საზღვარგარეთ, კერძოდ, დასავლეთევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში, და როგორია მისდამი დამოკიდებულება ჩვენი თანამედროვე უცხოელი ქართველოლოგებისა? ამ კითხვის დასმა შესაძლებელი ხდება იმ დიდი მუშაობის შემდეგ, რაც ევროპული ლიტერატურათმცოდნეობის შესასწავლად ჩაატარეს ქართველმა მეცნიერებმა. აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტის მიერ გამოცემული ოთხტომეული „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (პროფ. ლ. მენაბდის რედაქციით, 1975-84 წწ.). არსებითი მაინც ის მრავალწლიანი მუშაობაა, რაც ჩატარდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიური ცენტრის ბაზაზე შესაქმნელად მონოგრაფიისა „ქართული ლიტერატურის შესწავლა ევროპაში“ სათანადო ბიბლიოგრაფიებითურთ.

ევროპული ლიტერატურათმცოდნეობისათვის არ იყო ადვილი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აღიარება. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. რუსთაველის სახელი XIX საუკუნემდე საერთოდ უცნობი იყო ევროპისათვის. მისი პოემა ასე თუ ისე მისაწვდომი ევროპელი ლიტერატურათმცოდნეებისათვის XIX საუკუნის დამლევადან გახდა (არტურ ლაისტისა და მარჯორი უორდროპის თარგმანების შემდეგ). ბუნებრივია, რომ თარგმანი ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას იმ მაღალ მხატვრულ ოსტატობასა და პოეტურ სამყაროზე, რაც ყველაზე არსებითია რუსთაველის პოეზიაში.

ასევე რთული აღმოჩნდა ლიტერატურათმცოდნეებისათვის აღმოსავლური ტრადიციების ფონზე შექმნილი შუასაუკუნეების რომანში იმთავითვე ამოკითხულიყო ის შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული და რენესანსული ზოგადსაქცობრივ იდეალები, რაც ქმნის რუსთაველის აზროვნების თავისთავადობას. ამიტომაც, რომ ზოგი ევროპელი ლიტერატორის ნაწერებში შეუფასებლობა რუსთაველის პოეტური გენიისა აშკარად იგრძნობა. ზოგჯერ ეს მომენტი არა თუ საგრძნობია, არამედ „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ნარკვევის ძირითადი იდეაა. ასე მაგალითად, 1886 წელს ქ. თბილისში რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ ფრანგულ ენაზე ნარკვევს აქვეყნებს სახალხო განათლების ოფიცერი ჟ. მურიე. მისი ნარკვევი მეორედ გამოქვეყნდა პარიზში 1887 წელს, ხოლო მესამედ ბრიუსელში 1910 წელს. ჟ. მურიეს ნაშრომი მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. იგი ყურმოკრული გადმოცემებით შედგენილი რუსთაველის ბიოგრაფიით იწყება და მთავრდება ასევე ყურმოკრული ჭორით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მტკვარში გადაყრის შესახებ.

მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორი არ ფარავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას პოემის შინაარსობრივი და მორალური სამყაროსადმი. უკვირს, რატომ მოსწონთ ქართველებს ასე ძლიერ რუსთაველი და რატომ ცდილობენ თარგმნონ იგი ფრანგულად. ამით ხომ ფრანგებს დაანახვებენ „ვეფხისტყაოსნის“ ქების უსაფუძვლობას?! ჟ. მურიეს აღიზიანებს პოემის ტიპაჟი: ტარიელის გახელება, ავთანდილის „სიცივე და ცბიერება“, ნესტანის „დაუნდობლობა“, ფატმანის მსუბუქი ყოფაქცევა. გამოკვლევის ავტორს არ მოსწონს პოემის პიპერბოლიზებული ტონი, სიუჟეტის განვითარების აღმოსავლური სტილი. ასე რომ, მურიეს შეხედულებები არის ევროპელი მკითხველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობის შედეგად XIX საუკუნის ევროპული რომანის ფონზე შექმნილი სუბიექტური შთაბეჭდილებანი. ჟ. მურიე ვერ უცქერის პოემას მკვლევარი-ფილოლოგის პოზიციიდან: არ ფიქრობს შუასაუკუნეების პრობლემატიკაზე, არ იცნობს აღმოსავლურ პოეტურ სტილს და სხვა. მაგრამ ბუნებრივია, რომ დაახლოებით ამგვარი უნდა ყოფილიყო ევროპელი მკითხველის პირველი შთაბეჭდილებანი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობისას, სანამ ეს შთაბეჭდილებანი არ ამალღებოდა პოემის ისტორიზმის პრინციპით შესწავლამდე.

ჟ. მურიეს შეხედულებები არაა აბსოლუტური გამონაკლისი. ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჩანს, მართალია უფრო თავშეკავებული, მაგრამ მაინც სკეპტიკური დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი იდეური და მხატვრული სამყაროსადმი. გერმანელი მეცნიერი ი. შერი ერთ-ერთი პირველია, რომელსაც ქართული კულტურის მიმოხილვა შეაქვს მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიის კურსში (შტუდგარტი, 1899). იგი აქსენებს რუსთაველს, რომელიც

თამარის სამეფო კარის პოეტია. მან შექმნა რომანტიკული ეპოსი, რომელიც, ი. შერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „რა თქმა უნდა, დიდი საზომით არ უნდა იქნეს გაზომილი“.

ამგვარი კომენტირება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეის ან ცალკეული პასაჟებისა არ შეიძლება აიხსნას რუსთაველის შემოქმედებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. ამ დებულების საუკეთესო დამადასტურებელია ოლივერ უორდროპი, რუსთაველისა და ქართული ფენომენის საოცარი თავყანისმცემელი, რომელმაც თავისი ეს უზომო მოწიწება „ვეფხისტყაოსნისადმი“ საკუთარ დასთან მარჯორისთან ერთად მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით დაადასტურა და რომელსაც რუსთაველზე 1938 წელს სორბონში რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის მონახაზში ჩაუწერია: „ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ, შაბათს, 19 თებერვალს, 1887 წელს, როდესაც მე ვიხილე პოეტის [რუსთაველის - ე. ხ.] პორტრეტი წმინდა ჯვრის მონასტერში იერუსალიმის მახლობლად, ძალიან მცირე წარმოდგენა მქონდა, თუ როგორ დიდ როლს ითამაშებდა იგი ჩემს ცხოვრებაში, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მე უფრო მეტი დრო მოვახმარე მისი პოემის კითხვას, ვიდრე რომელიმე სხვა პოემისა და ერთმა ჩემმა უახლოესმა ნათესავმა [მარჯორი უორდროპმა — ე. ხ.] მთელი სიცოცხლე მიუძღვნა, რომ შემოეტანა მისი ნაშრომი ინგლისელი მკითხველის ცნობიერებაში“ (ბოდლის ბიბლიოთეკა, უორდროპის ფონდი – d. 39). ო. უორდროპი მარჯორი უორდროპის თარგმანის პირველი გამოცემის წინასიტყვაობად დართულ თავისი მაღალი ლიტერატურული კულტურითა და პოემის ბრწყინვალე ცოდნით შესრულებულ ნაშრომში დაუფარავად წერს, რომ ინგლისელი მკითხველი ვერ აღიქვამს

რუსთველისეულ პიპერბოლურობას პოემის გმირთა გაყრით გამოწვეული ნაცველის აღწერისას და გმირთა სილამაზის ასტრალური მეტაფორებით გადმოცემისას. თუმცა ინგლისელ კრიტიკოსს თვითონვე აქვს შენიშნული, რომ სულიერ მღელვარებათა გადაჭარბებით გამომხატვა თვით დასავლეთევროპულ და კერძოდ ინგლისურ ლიტერატურას მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით ახასიათებდა. აქვე მკვლევარი საჭიროდ მიიჩნევს შენიშნოს, რომ მორალური პოზიციიდან მიუღებელია პოემის გმირთა მოქმედების რამდენიმე ეპიზოდი, კერძოდ, ავთანდილისაგან ჭაშნაგირის მოკვლა, ფატმანთან გამიჯნურება და ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა. ცდილობს მიიჩნიოს ისინი სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელ ელემენტებად. ო. უორდროპის ამ უაღრესად საინტერესო მსჯელობაში ორი მომენტია მნიშვნელოვანი: მკვლევარი მიუთითებს, რომ იგი მსჯელობს თავისი თანამედროვე ინგლისელი მკითხველის პოზიციიდან, და აღნიშნავს, რომ რუსთველისეული პიპერბოლური სტილი საზოგადოდ დამახასიათებელია ძველი ლიტერატურისათვის.

სხვა უცხოელი მკვლევარები რუსთველის შემოქმედებაზე გამოთქმული შენიშვნების ახსნას არ ცდილობენ. გერმანელი მკვლევარი ფ. ბორკი (ლაიპციგი, 1915), ისევე როგორც ფრანგი ჟ. მურიე, „ვეფხისტყაოსანს“ აფასებს თავისი თანამედროვე ლიტერატურული სტილის პოზიციიდან. მას არ მოსწონს, რომ პოემის გმირები იდეალიზებულნი არიან და არა სინამდვილიდან აღებულნი. მისი აზრით, რუსთაველი არაა მოაზროვნე პოეტი და ამდენად, პოემაში ღრმა აზრები არ უნდა ვეძიოთ.

გარდატეხა რუსთაველის მიმართ ევროპელ მკვლევართა დამოკიდებულებაში მალე მოხდა. რუსთაველის პოემის

შეფასებაში ცვლილებები შეინიშნება თვით ერთი მკვლევარის შემოქმედებითი პროცესის ფარგლებშიც. ასე მაგალითად, ცნობილი ქართველოლოგი გ. დეეტერსი თანდათანობით წვდება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-იდეურ სამყაროს. 1937 წელს შ. ნუცუბიძის მონოგრაფიის „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“ განხილვისას იგი ხედავს რუსთაველის პოემის სიდიდეს, მაგრამ ამჯობინებს იყოს ზომიერი მის შეფასებაში და წინააღმდეგია მისი მოხსენიებისა მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა, კერძოდ დანტეს გვერდით. გ. დეეტერსის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ფორმა, მისი გამომსახველობითი მხარე ძალზე მაღალია, მაგრამ მას ჩამორჩება პოემის იდეური სამყარო. ეს თვალსაზრისი, თუმცა ცოტა უფრო მოკრძალებით, მკვლევარმა გაიმეორა 1958 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ჰუგო ჰუპერტისეული გერმანული თარგმანის განხილვისას. მაგრამ 1963 წელს გამოცემულ უკანასკნელ ნარკვევში ქართულ ლიტერატურაზე იგი უკვე ლაპარაკობს ქართულ ნაციონალურ ეპოსზე და რუსთაველის პოემაზე ბევრად მითითებული შენიშვნების გარეშე.

ევროპულმა ქართველოლოგიამ შეძლო რუსთაველის დიდი პოეტური ხელოვნების სათანადოდ დანახვა, სწორად გააზრება და შეფასება. ნიშანდობლივია, რომ რუსთაველის მაღალი პოეტური სამყაროს სათანადოდ აღქმა, მისი იდეურ-მხატვრული შემოქმედების სწორი შეფასება ევროპულ ქართველოლოგიაში თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურად მთარგმნელებმა შეძლეს. სწორედ მათ, ვინც ორიგინალში შეისწავლა პოემა და მისი მშობლიურ ენაზე ამეტყველება სცადა. ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია რუსთაველის პოემის პირველი *ევროპელი* მკვლევარისა და მთარგმნელის მარი ბროსეს დამსახურება. ფრანგი

ქართველოლოგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერულად ამუშავებს რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად. ბერტა და არტურ ზუტნერების მიერ რუსთაველის პოემის ტექსტის თარგმნაზე მუშაობას თან მოჰყვა ა. ზუტნერის გამოკვლევა „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“ (1884 წ.). მკვლევარი რუსთაველს თვლის ევროპაში რომანის ჟანრის დამწყებად. პოემის გერმანულ ენაზე მთარგმნელი ა. ლაისტი პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში პარალელს ავლებს რუსთაველის თანამედროვე ევროპულ სარაინდო ეპოსთან, კერძოდ, ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალთან“ და იმასაც შენიშნავს, რომ რუსთაველი ეშენბახთან შედარებით უფრო თავისუფალია რელიგიური ჩარჩოებისაგან. ასევე ნათლად ჰქონდა გააზრებული რუსთაველის პოემის სიდიადე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ინგლისური თარგმანის ავტორს, მარჯორი უორდროკს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან თავის ძმასთან, ოლივერ უორდროკთან ერთად რუსთაველის პოემის ზოგადსაკაცობრიო იდეალებით შთააგონა რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი იმდენად, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე რუსული თარგმანი და უძღვნა მას შესანიშნავი გამოკვლევა „დიდი იტალიელები და რუსთაველი“, რომელშიც პირველად გაივლო მეცნიერული პარალელები რუსთაველის შემოქმედებასა და იტალიური რენესანსის დიდ წარმომადგენლების შორის (პარიზი, 1933 წ.). პოემის როგორც იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე, ასევე მაღალი მხატვრული ოსტატობა სათანადოდაა შეფასებული ა. ბაუმგარტნერის „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულში ჯერ კიდევ 1897 წელს. ა. ბაუმშტარკი თავისის „ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურაში“ (1911 წ.)

გარკვევით აცხადებს, რომ რუსთაველის ბადალი მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება. რუსთაველის შემოქმედების განხილვას მსოფლიო ლიტერატურის პროცესის ფონზე ცდილობს გერმანელი მკვლევარი ქალი რ. მილერ-ზუდნიცკაია. იგი აქვეყნებს ვრცელ გამოკვლევას „ვეფხისტყაოსანზე“ სათაურით „შოთა რუსთაველი - ქართველი დანტე“. რუსთაველის ეპოქას იგი ქართული რენესანსის ეპოქად აცხადებს (მოსკოვი, 1937 წ.). რ. ბლაიხშტაინერი „ვეფხისტყაოსანს“ თვლის არა მარტო ქართული მწერლობის შედეგად, არამედ მსოფლიო ლიტერატურის დიდ მოვლენად (ვენა, 1950). რუსთაველს ადრე რენესანსის ეპოქის კლასიკოსს უწოდებს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი (ბერლინი, 1955).

ევროპულ ქართველოლოგიაში რუსთაველის შემოქმედების შესწავლაში ახალ ეტაპს ქმნის ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე მორის ბაურა. იგი „ვეფხისტყაოსანს“ იხილავს აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურების შედეგების ფონზე (ლონდონი, 1955 წ.). ამ მიმართულებით იგი აგრძელებს კ. კარსტის ცდებს, რომელიც რუსთაველის პარალელებს ეძიებს არიოსტოსა და ტასოს, დანტესა და ბონავენტურას, ვოლფრამ ფონ ეშენბახის შემოქმედებებში. თუმცა ამავე დროს ხედავს რუსთაველის თავისთავადობას და განსხვავებას მათგან (პარიზი, 1934). რუსთაველის თავისთავადობის აქცენტირება აქცია თავისი კვლევის საგნად რ. სტივენსონმა, უპირატესად არიოსტოსთან მიმართებაში.

საზღვარგარეთულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თანმიმდევრულად აისახება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის მდგომარეობა საქართველოში. ასე მაგალითად: მ. ბაურას

გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“ ეფუძნება შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ნეოპლატონურ ფილოსოფიასა და პანთეისტურ ელემენტებს ხედავდა. ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დამლევის საზღვარგარეთულ ლიტერატურაში რუსთაველის შესახებ გამოჩნდა ის ახალი ტენდენციები, რაც 60-იან წლებში ჩაისახა ქართულ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში. კერძოდ, რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირების მიმართება XII საუკუნის სქოლასტიკური აზროვნების განვითარებასთან. დანახვა პოემაში, ერთი მხრივ, ქრისტიანული და ისლამური კულტურების და მეორე მხრივ, თეოლოგიურ და ანტიკურ აზროვნებათა მიმართებისა. ეს ახლებური პოზიცია კარგად ჩანს კირილ თუმანოვის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც შესავლის სახით ერთვის თეიმურაზ ბაგრატიონის 1968 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ბროშურას შოთა რუსთაველზე.

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში შეინიშნება, რომ რუსთაველის პოემიაზე წერენ არა მხოლოდ ქართველოლოგები და ქართული ლიტერატურით დაინტერესებული უცხოელი მეცნიერები, არამედ საზოგადოდ ევროპული ლიტერატურის პროცესის მკვლევარნი. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის გ. კ. ბეინენის სტატია „შოთა რუსთაველი და კურტუაზული სიყვარულის სტრუქტურა“, წარმოდგენილი კურტუაზული ლიტერატურის საერთაშორისო საზოგადოების მერვე კონგრესზე ბელფასტში 1995 წელს. გ. კ. ბეინენის აზრით, რუსთაველის პოემის (რომელიც, მისი სიტყვით, „უდავოდ შედევრია“: "the poem is undoubtedly a masterpiece") სარაინდო სიყვარულის სტრუქტურა კურტუაზული ლიტერატურის განვითარების უმაღლეს ეტაპს შეესაბამება.

უახლეს ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში გრძელდება რუსთველის შემოქმედების შეფასების აღმავალი ხაზი. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია 1994 წელს ოქსფორდში გამოცემული დონალდ რეიფილდის წიგნი „საქართველოს ლიტერატურა. ისტორია“. საზოგადოდ ეს წიგნი უცხოელის მიერ ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი პროცესის ერთ მთლიანობაში გააზრებისა და განხილვის ერთი საუკეთესო ცდაა. მრავალმხრივია საინტერესო მონოგრაფიის ბევრი ქვეთავი. მათ შორის საუკეთესო მათგანია ძველი ქართული სასულიერო ლირიკის - ჰიმნოგრაფიის მიმოხილვა. ავტორი არა მარტო ახლებურად მსჯელობს უმდიდრეს ქართულ სასულიერო პოეზიაზე, არამედ ძველი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების საკუთარ პოეტურ თარგმანებსაც აქვეყნებს. ინგლისელი ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკასაც შედარებით სრულად მიმოიხილავს. იგი საუბრობს პოემის სიუჟეტზე, პროლოგში ჩამოყალიბებულ თეორიულ შეხედულებებზე, ავტორის მსოფლმხედველობასა და რელიგიური პოზიციის ნიუანსებზე, მის ლიტერატურულ წყაროებზე. შენიშნული აქვს ისიც, რომ რუსთაველს თავისი პირველწყაროებიდან უთუოდ განასხვავებს ახალი იდეები და სხვა. ამავე დროს სიმპტომურია, რომ დ. რეიფილდის წიგნში გრძელდება ევროპული ლიტერატურათმცოდნეობისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, რომელიც ცდილობს „ვეფხისტყაოსანი“ გამიჯნოს მსოფლიო ლიტერატურის აღიარებული შედეგებიდან. ამ მიზნით იგი ლაპარაკობს პოემის სიუჟეტის აგებულებისა და პოეტური აზროვნების ექსცენტრულობაზე ("the eccentricities of plotting and thinking..."), მთლიანად თხზულების ეკლექტურობაზე ("eclectic work"). და ბოლოს კი ასკვნის: „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა არის

ეროვნული და არა საერთაშორისო შედეგები, რადგან მისი მამოძრავებელი [იდეა, ღერძი – ე. ხ.] არ არის დარწმუნება ადამიანის უსუსურობაში, რითაც გამსჭვალულია დანტე და შექსპირი. და მაინც, რუსთაველის პოემა ქართველებისათვის არის ის, რაც დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ იტალიელებისათვის“.

ძნელია ეკამათო ინგლისელი ქართველოლოგის განცხადებას „ვეფხისტყაოსნის“ ეკლექტიზმზე და მისი სიუჟეტის ექსცენტრულობაზე, ან მიიღო იგი, რადგანაც მკვლევარი არც განმარტავს თავის დებულებებს და არც ასაბუთებს მათ. სხვა სიბრტყეზე შეიძლება იქნეს განხილული დ. რეიფილდის აზრი: „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ არ არის მსოფლიო ლიტერატურის შედეგები, რომ მისი მამოძრავებელი ღერძი არ არის რწმენა და აღიარება ადამიანური არსებობის უსუსურობისა. ეს ორიგინალური თვალსაზრისია, რომელიც, ჩემი აზრით, კომენტარს საჭიროებს. შეიძლება კი თავისდათავად მართებული ფილოსოფიური თეზა ადამიანური ყოფის უსუსურობისა ვაქციოთ კაცობრიობის ლიტერატურული აზროვნების ერთადერთ ქვაკუთხედად და ყველა ეპოქის, რელიგიური პოზიციისა და ფილოსოფიური ორიენტაციის ლიტერატურული ქმნილების შეფასების უმაღლეს კრიტერიუმად ამ თეზის გამოვლენა-არგამოვლენის კომენტირებამდე დავიყვანოთ? ხომ არ არის ამგვარი პოზიციის ძიება ყველა დროის ლიტერატურულ ქმნილებაში ჩვენი სუბიექტური განწყობილებებიდან შეხედვა მსოფლიო ლიტერატურულ შედეგებისადმი? ანდა, უკეთეს შემთხვევაში ხომ არ არის იგი ჩვენი ეპოქის პოზიციიდან შეფასება გარდასული ეპოქათა აზროვნებისა? შეიძლება კი კაცობრიობის მთელი სწრაფვა ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ამოცნობისა ამ ერთ თეზამდე დავიყვანოთ? შეიძლება კი

